

07/09/2026



MES 4 26 0001161291

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 24** აგვისტოს 12:00 საათზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Topic: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა

Time: Aug 24, 2026 12:00 PM, Tbilisi,

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=82336936795>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ანა აროშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თინათინ ბურძენიძე
ზვიად ოდიშვილი
მიხეილ ხუციშვილი
ნინო ქიტიაშვილი
დემეტრე დემეტრაშვილი
გვანცა პაკატილოვი
ირმა მეგრელიძე
სალომე გოგიაშვილი
ირმა ღარიბაშვილი
ზაზა პაპიძე
ნინო გორგოშაძე
ნინო თამაზაშვილი
შალვა ზაზაძე
ია გელენიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯისთვის „აისი“
მალხაზი ასლამაზაშვილი
დავით პაპაშვილი
ლელა ბერიაშვილი

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
დირექტორი - ია ერადე
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნათელა ჩაჩუა

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
რექტორი - მურთაზ დევაძე

შპს მედსქილ ედუ
დირექტორი - ქეთევან ციხისელი
სამედიცინო პროფესიული პროგრამების განვითარების კონსულტანტი - გიორგი მახარაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო რამიშვილი
სს „ვიანი“ - ის წარმომადგენლები - ნოდარ გელოვანი და გვანცა ბურჯანაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯისთვის „აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ და „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილების შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიისთვის - SBA პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: "საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია", "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია", "ამწის ოპერირება" "ელექტროობა", "შედუღება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ბათუმი და ქ. ფოთის ლოკაცია);
5. შპს მედსქილ ედუს ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის „აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ და „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილების შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაც ილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ ბურძენიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 9 ივლისის №901811 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 17 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სამუშაო ვიზიტი განხორციელა სსიპ კოლეჯ „აისში“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი). ვიზიტის მიზანი იყო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების — „კულინარია“ და „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილების შეკეთება“ — დამატების საკითხთან დაკავშირებით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება, კოლეჯის ბაზაზე. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია:

საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის“ ინდიკატორ 2.2.1.1-ის მოთხოვნებთან მიმართებით, დაწესებულება წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმით. ვიზიტის პროცესში ჩატარებულმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით ამ პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად დაწესებულებას რეალურად ესაჭიროება ახალი ინვენტარისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/დამატება, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების პოზიციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასეს, როგორც მეტწილი შესაბამისობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია

პროგრამის სახელწოდებაა „კულინარია“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს, კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას კულინარიაში (დეტალური სფეროს კოდი: 1013). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №1 26 0000792749 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. პროგრამის განხორციელების მისამართია გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი. პროგრამის განხორციელების ფორმაა იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლება. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრა 90 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 120 კრედიტით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ 30-სტუდენტთან ზღვრულ რაოდენობას. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „კულინარიის“ პროგრამის განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება სათანადოდ არის დასაბუთებული და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და 2020–2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამა შემუშავებულია „კულინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების გზით. 30-სტუდენტიანი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, კულინარიის თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეების გამტარუნარიანობა, ორ ცვლაში მუშაობის შესაძლებლობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ადამიანური რესურსი და კახეთის რეგიონში ტურიზმისა და კვების მომსახურების სექტორში კვალიფიციურ კადრებზე არსებული მოთხოვნა. პროგრამით არჩევითი მოდული გათვალისწინებული არ არის. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ხოლო მისი სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დასაქმების სფეროებსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზმა აჩვენა, რომ კოლეჯის კულინარიის პროფესიული სასწავლო ბაზა მეტწილად აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, თუმცა ახალი სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა დამატებითი ინვენტარისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/დამატება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულების ვადა 5 თვით არის განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებლის არსებობა, ხოლო მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა მათი შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. სსსმ სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და რესურსების ადაპტირების მექანიზმები. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია ვაუჩერული და სუბსიდირებული დაფინანსებით, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი — 5 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე დაფუძნებული სისტემატური შეფასების მოდელი და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. კოლეჯში რეგულარულად ტარდება სტუდენტების, თანამშრომლებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელთა გამოკითხვები, რომელთა შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამების განვითარების მიმართულებების განსაზღვრისთვის. კოლეჯი ასევე იყენებს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტების შედეგად მიღებულ გამოცდილებასა და დარგობრივი მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციებს. პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებში. ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან და დარგის ექსპერტებთან ერთად, განიხილავს კვლევების შედეგებს და დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს პროგრამის გაუმჯობესების შესახებ. ორივე ინდიკატორი შეფასებულია როგორც დაკმაყოფილებული. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით აღინიშნა, რომ პროგრამისთვის შემუშავებულია ლოგიკურად დალაგებული სასწავლო გეგმა, რომელშიც დაცულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, განსაზღვრულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო ვადები. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდულის გავლა. კოლეჯი სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და იყენებს

სტუდენტების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და პარტნიორი კომპანიების გამოკითხვებს. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. პროგრამა მთლიანად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე არსებულ იმიტირებულ სახელოსნოებში და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გარე პარტნიორთან ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ არსებობს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში; კულინარიის პროგრამისთვის განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის წესები, ხოლო სტუდენტებს უტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი. შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, მოქნილობის, სიმარტივის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების ინსტრუმენტებს ამზადებენ მოდულის განმახორციელებელი პირები, ხოლო მათი განხილვა და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტის მონაწილეობით. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელსაც ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. ვერიფიკაციის პროცესში არ მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი პირი, რაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა რეგულირდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტების შემდგომი განვითარების მიზნით. პროფესიული სტუდენტები პერსონალური მიღწევებისა და ჩამორჩენის შესახებ იღებენ უკუკავშირს, ხოლო ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში განიხილება მათი მიღწევები და განისაზღვრება შემდგომი განვითარების გზები. შესაბამისი ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაკმაყოფილებულად არის შეფასებული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება

პროგრამის სახელწოდებაა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში (პროგრამის კოდი: 0716). პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №1 26 0000792749 ბრძანებით. პროგრამის განხორციელების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი. სწავლების ფორმაა იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლება. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, სწავლება დაგეგმილია ორ ცვლაში. პროგრამის მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო გეგმით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდულის გავლა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 30-სტუდენტის რაოდენობა. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და მისი დაგეგმვისას გათვალისწინებულია კოლეჯის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსები, ასევე შრომის ბაზრის საჭიროებები. მოთხოვნილი 30-სტუდენტის რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეების გამტარუნარიანობა, სტუდენტთა ორ ცვლაში გადანაწილების შესაძლებლობა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები და რეგიონში საავტომობილო მომსახურების სექტორში კვალიფიციურ სპეციალისტებზე არსებული მზარდი მოთხოვნა. პროგრამით არჩევითი მოდული გათვალისწინებული არ არის. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის — კოლეჯის დირექტორის მიერ. მისი სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დასაქმების

სფეროებთან და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დოკუმენტაცია მოიცავს ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაციას. ყველა შესაბამისი ინდიკატორი შეფასებულია როგორც „დაკმაყოფილებულია“. პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯში ფუნქციონირებს შესაბამისი სასწავლო გარემოები, მათ შორის A გარემო — აუდიტორია 104, B გარემო — კომპიუტერული პროგრამების ასათვისებელი სივრცე, და C გარემო — სპეციალიზებული სასწავლო ბაზა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისთვის“. C გარემო აღჭურვილია შესაბამისი დანადგარებით, ინსტრუმენტებითა და ტექნიკური საშუალებებით, ხოლო ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამის თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია და დასაქმებულია მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობასა და უწყვეტობას; მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პერსონალის პირადი საქმეებისა და რეზიუმეების შესწავლით დადასტურდა მათი შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, პრაქტიკული გამოცდილება და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის განვითარებაში, რევიზიაში, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და ვერიფიკაციის პროცესში. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ სტუდენტებისთვის კოლეჯს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო რესურსების მათი საჭიროებების შესაბამისად ადაპტირების მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლო პროცესში დამატებითი რესურსებისა და მხარდაჭერის ჩართვა. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ვაუჩერული და სუბსიდირებული დაფინანსებით. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი — 5 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ხარჯებში გათვალისწინებულია მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, ნედლეული, მასალები და სხვა მიმდინარე ხარჯები. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული სისტემატური შეფასების მოდელი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, სტუდენტების, თანამშრომლებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენლების უკუკავშირი, ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა. კოლეჯში რეგულარულად ტარდება შესაბამისი კვლევები და გამოკითხვები, რომელთა შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამების განვითარების მიმართულებების განსაზღვრისთვის. კოლეჯს აქვს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებიდან მიღებული გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის პრაქტიკა, აგრეთვე დარგობრივი მოწვეული ექსპერტების ჩართულობის გამოცდილება. ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან და დარგის ექსპერტებთან ერთად, აანალიზებს კვლევების შედეგებს და დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს პროგრამის გაუმჯობესების შესახებ. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებში. ორივე ინდიკატორი შეფასებულია როგორც დაკმაყოფილებული. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით აღინიშნა, რომ პროგრამისთვის შემუშავებულია ლოგიკური თანმიმდევრობის მქონე სასწავლო გეგმა, რომელშიც დაცულია პროფესიული სტუდენტის

კვირული დატვირთვა, განსაზღვრულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო ვადები. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ქართული ენის შემავსებელი მოდულის გავლას. კოლეჯი სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებს და იყენებს სტუდენტების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და პარტნიორი კომპანიების გამოკითხვის შედეგებს. სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. პროგრამა სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე არსებულ იმიტირებულ სასწავლო გარემოში და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გარე პარტნიორთან ხელშეკრულების გაფორმება საჭირო არ არის. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სპეციალიზებულ ტექნიკურ სახელოსნოებში, სადაც დაცულია ტექნიკური, სახანძრო და ელექტროუსაფრთხოების შესაბამისი ნორმები. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და შესაბამისი სპეცტანსაცმლით, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყებამდე უტარდებათ უსაფრთხოების წესების დეტალური ინსტრუქტაჟი. სახელოსნოებში ხელსაწყოებთან განთავსებულია უსაფრთხოების ნიშნები და შექმნილია პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემო. სსსმ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება ხორციელდება ინკლუზიური განათლების სპეციალისტების, ასისტენტებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ სტუდენტის სასწავლო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე. შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, მოქნილობის, სიმარტივის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების ინსტრუმენტებს ამზადებენ მოდულის განმახორციელებელი პირები, ხოლო შემუშავებულ ინსტრუმენტს განიხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელსაც ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. ვერიფიკაციის პროცესში არ მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი პირი. პროცესი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ რისკებსა და რისკფაქტორების კოეფიციენტებს, ხოლო შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში მუშავდება რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის, მათ შორის მიღწევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თინათინ ბურძენიძეს, გაეცნო თუ არა იგი კულინარიის პროგრამისთვის მომზადებულ შესყიდვის განაცხადს. მან აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია სამთვიანი ვადა და დაინტერესდა, რამდენად რეალურია ამ დროში ინვენტარისა და აღჭურვილობის შესყიდვა, გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ შესაძლო რისკები წინასწარ, პროცესის ჩავარდნის შემთხვევაში რა ალტერნატიულ გზას აირჩევს იგი და ავტორიზაციის დადებითი შედეგის შემთხვევაში როგორ აპირებს აღნიშნულ ვადაში ჩატევას.

აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ ბურძენიძემ, და განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯს ივნისში ეწვია — მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნაკლებობის საკითხის დაფიქსირებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ. მისი თქმით, კოლეჯს აღნიშნული რესურსების მობილიზება უფრო ადრეც შეეძლო, თუმცა ვიზიტისას ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო, საჭირო აღჭურვილობა გამოთხოვილი

გახლდათ. ამასთან, კოლეჯმა განათლების სამინისტროსთანაც დაიწყო მიმოწერა რესურსის მობილიზების საკითხზე. შესაბამისად, ექსპერტის შეფასებით, 5-თვიანი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში რისკები მაღალი არ არის, ვინაიდან ამ პერიოდში დაწესებულება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგების მიმართულებით საგრძნობლად წაიწევს წინ და დასმულ შეკითხვასაც უპასუხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტ თინათინ ბურძენიძეს და დაინტერესდა, თუკი ექსპერტის განმარტებით დაწესებულებას აღნიშნული რესურსი უკვე მოპოვებული ჰქონდა, რატომ გახდა საჭირო სამინისტროსთვის მიმართვა. ექსპერტმა განმარტა, რომ კოლეჯს ჰქონდა გარკვეული დანაზოგი და დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ საჭირო რესურსის ნაწილის მობილიზებას თავად ახდენდნენ, თუმცა იმ პერიოდში რესურსის სრულად მობილიზება ვერ ხერხდებოდა და საჭირო იყო სამინისტროს დახმარება.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიმართა დარგის ექსპერტს, მიხეილ ხუციშვილს, და დაინტერესდა, კონკრეტულად რა ტიპის ძირითადი აღჭურვილობა და ინვენტარი აკლდა კულინარიის სახელოსნოს ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად. დარგის ექსპერტის განმარტებით, ახალ საფეხურზე გადასვლისას სტანდარტი შეიცვალა და დაემატა გარკვეული დანადგარები, რაც ძირითადად არსებული ინვენტარის გაორმაგებას გულისხმობდა (მათ შორის ღუმელების, რომლებიც ძველ ჩარჩო დოკუმენტში თითო ერთეულით იყო განსაზღვრული, ხოლო ახალში — ორ-ორით). ექსპერტის შეფასებით, არსებული რესურსი საკმარისი იყო სწავლის დასაწყებად, ხოლო დამატებითი ინვენტარის, მათ შორის კონვექციური ღუმელების, შესყიდვას დაწესებულება ისედაც გეგმავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დარგის ექსპერტ სთხოვა დაზუსტება, თუ რას გულისხმობდა ინვენტარის გაორმაგება, იყო თუ არა ორი ერთეული საკმარისი სტუდენტების ნებისმიერი რაოდენობისთვის და რატომ აღარ იყო საკმარისი 15 სტუდენტზე ერთი ღუმელი. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ახალი სტანდარტით ერთ C გარემოში ორი კონვექციური ღუმელის არსებობა გახდა საჭირო, თუმცა, მისი შეფასებით, ამის რეალური საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან წინა სტანდარტი 15 სტუდენტზე ერთი ღუმელით სრულად უზრუნველყოფდა მოთხოვნას და ახალ სტანდარტში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა, რაც რაოდენობის გაზრდას გაამართლებდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთ C გარემოში ორი პიცის ღუმელის ერთდროულად გამოყენებამ შესაძლოა ფიზიკური დისკომფორტი შექმნას და მისთვის უცნობია, რატომ არის სტანდარტში ორი პიცის ღუმელის მოთხოვნა განსაზღვრული, რადგან კერძო სექტორშიც კი (დიდ ობიექტებზე) ორი პიცის ღუმელის საჭიროება არ დგას — სტანდარტულ ღუმელში ერთდროულად ოთხი პიცა თავსდება და გამოცხობას 10 წუთი სჭირდება.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, დარგის ექსპერტ მიხეილ ხუციშვილს მიუთითა, რომ საგანმანათლებლო სტანდარტში აღნიშნული ჩანაწერი სარეკომენდაციო ხასიათის იყო. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ თავად მიიჩნია, რომ რესურსის ნაწილი დამატებით სჭირდებოდა და ამიტომ დაგეგმა ინვენტარის შეძენა, რისთვისაც უკვე წარადგინა შესაბამისი 5-თვიანი გეგმა. ექსპერტმა დასძინა, რომ კოლეჯს, როგორც მოქმედ დაწესებულებას, წინა სტანდარტით ავტორიზაციისთვის საჭირო ყველა დანადგარი უკვე ჰქონდა და სრულად იყო აღჭურვილი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ ბურძენიძემ, დაამატა, რომ დაწესებულებას უახლოეს მომავალში ისედაც დაგეგმილი აქვს მისაღები სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, რის გამოც აღნიშნული რესურსი მაინც დასჭირდებოდათ და ამ საკითხის მოგვარებაზე დროულად იზრუნეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დარგის ექსპერტს მიმართა შეკითხვით, რამდენად რეალურია სტუდენტების სრულფასოვანი მომზადება იმიტირებულ გარემოში, როდესაც მემორანდუმები გაფორმებული არ არის და რამდენად პასუხობს ეს რეალური სარესტორნო ბაზრის მოთხოვნებს. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ადგილზე დაათვალიერეს C გარემო,

რომელიც სრულად იყო აღჭურვილი და სივრცე თუ ინვენტარი სრულიად საკმარისი იყო ადგილზე ყველა პრაქტიკული კომპეტენციის მისაღებად, რის გამოც სასწავლო პროცესის სარესტორნო დაწესებულებებში გადატანის აუცილებლობა არ არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რამდენად იყო საჭირო მემორანდუმის გაფორმება თუნდაც ექსკურსიის ფორმატით რეალური გარემოს გაცნობისთვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთი მემორანდუმი გაფორმებული აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტი ამას არ ითვალისწინებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თინათინ ბურძენიძემ, დაამატა, რომ კოლეჯმა წარადგინა კურსდამთავრებულებთან აქტიური კომუნიკაციის მაგალითები, დაათვალიერეს სტუდენტური თვითმმართველობის შენობაც და ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს სტუდენტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, თინათინ ბურძენიძეს მიმართა შეკითხვით მეორე პროგრამის — „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ — შესახებ, კერძოდ, რამდენად ოპტიმალურად იყო განაწილებული ორცვლიანი სწავლება (დღეში 12, კვირაში 60 საათი), ხომ არ ქმნიდა ეს გადატვირთვის რისკს პედაგოგებისა და ინფრასტრუქტურისთვის და გამოვლინდა თუ არა უზუსტობები ვერიფიკაციის პროცესში. თინათინ ბურძენიძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში რამდენიმე ბოქსია, ადგილზე სტანდარტზე მეტი დანადგარი დახვდათ, ხოლო ვერიფიკაციის დოკუმენტაცია სრულად და ორგანიზებულად იყო წარმოდგენილი, ცალკეულ ხარვეზებზე კი დაგეგმილი იყო შესაბამისი ნაბიჯები. საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, ორივე პროგრამაში მოტივაციური გასაუბრება ერთიანი შაბლონით მიმდინარეობდა თუ პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაზეც წარმომადგენელმა განმარტა, რომ გასაუბრება ინდივიდუალურია, მასში ჩართულნი არიან დარგის ექსპერტები და დამსაქმებლები, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა გადინების შემცირებას.

განხილვის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ და „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს „აისი“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კულინარია“ და „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარია“ 2.2. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 30 ნოემბერი.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს მდივანს, ნათია ბუთხუხსა და საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს ჰქონდათ აცილება. საბჭოს მდივანად განისაზღვრა საბჭოს წევრი ეკატერინე გიგაშვილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 6 ივლისის №MES 9 26 0000000N/A ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 16 ივლისს განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22). ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობისა და ფაქტობრივი პირობების შემოწმება. ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ფარგლებად განისაზღვრა სტანდარტის ბ.ა), ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტები. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროგრამის კომპონენტები, პროგრამა შესაბამისობაში იყო ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან; დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და იმიტირებული სამუშაო გარემო; გაესაუბრა აკადემიის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს; გადაამოწმა ელექტრონული/დისტანციური სწავლების პლატფორმები და ფაქტობრივი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ფორმა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნია ლიცენზირებული პლატფორმა „TEAMS“, რომელშიც ყველა საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თავისი ჯგუფი, ჯგუფებში პროგრამების მიხედვით გახსნილია არხები, სადაც ატვირთულია ყველა სასწავლო მასალა და ზრდის მის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სისტემა იძლევა დისტანციური

მუშაობის, მასალების ოპერატიულად გაცნობისა და სასწავლო დავალებების ეფექტურად შესრულების გარანტიას. ხაზგასასმელია, რომ დაწესებულებას ინსტიტუციურ და მეთოდოლოგიურ დონეზე სრულყოფილად აქვს დარეგულირებული დისტანციური სწავლების წარმართვის პროცესი. აკადემიაში მოქმედებს დისტანციური სწავლების მარეგულირებელი შიდა აქტები და მეთოდოლოგია, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს სწავლისა და სწავლების ფორმატებს.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში ჩატარებული მონიტორინგის ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ბუღალტრული აღრიცხვა“ – დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობისა და ფაქტობრივი პირობების შემოწმება. ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ფარგლებად განისაზღვრა ავტორიზაციის სტანდარტის 2.1, 2.2 და 2.4 კომპონენტები. მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, პროგრამის განხორციელების პირობები, შეფასების მექანიზმები და დისტანციური სწავლებისათვის გამოყენებული ელექტრონული პლატფორმები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ბუღალტრული აღრიცხვა“ – სახელწოდებაა „ბუღალტრული აღრიცხვა“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ბუღალტრულ აღრიცხვაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0411. პროგრამა დამტკიცებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს რექტორის 2026 წლის 12 თებერვლის №2610 ბრძანებით, ცვლილებით – 2026 წლის 18 მაისს. პროგრამის განხორციელება შესაძლებელია დისტანციური სწავლების ფორმით, მათ შორის ცალკეული მოდულების დისტანციურად განხორციელებით. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის განხორციელება შესაბამისობაშია აკადემიის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების პორტფელის გაფართოებას, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებას, სწავლის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის დამყარებას. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები; ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური მართვის მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს იმ საბაზისო ცოდნისა და უნარების არსებობას, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზმა აჩვენა, რომ აკადემია უზრუნველყოფილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებითა და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ინვენტარით. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა სრულად ხორციელდება აკადემიის ბაზაზე არსებულ იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რაც სტუდენტებს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკული მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დაწესებულების რექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით დადასტურდა მათი შესაბამისობა დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. აკადემიას ასევე აქვს საკანონმდებლო ბაზაზე წვდომა. ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, პროგრამისთვის შემუშავებულია შესაბამისი ბიუჯეტი, რომელიც მტკიცდება აკადემიის რექტორის ბრძანებით და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად იცვლება

შემოსავლების ან ხარჯების რომელიმე მუხლი. პროგრამის შემოსავლის ნაწილი ფორმირდება სწავლის საფასურითა და სხვა დამხმარე შემოსავლებით. ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, საიჯარო ხარჯები, ძირითადი საშუალებების ცვეთა, კომუნალური და საკანცელარიო ხარჯები, აკადემიის საერთო ბიუჯეტში გადარიცხვა, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულად შეაფასა. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების (2.4) კუთხით აღინიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების გავლის ლოგიკური თანმიმდევრობა, კრედიტების განაწილება, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა და მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დისტანციურ ფორმატში განსახორციელებელი მოდულებიც, მათ შორის უცხოური ენა (ინგლისური ენა), ინფორმაციული წიგნიერება, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და აუდიტის საფუძვლები. მათი სწავლება მიმდინარეობს დადგენილი წესებისა და ტექნოლოგიური სტანდარტების დაცვით. პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, მეცადინეობების განრიგი და შეფასების კომპონენტები შესაბამისობაშია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებთან. დისტანციური სწავლების ფორმატი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებს და განსაკუთრებით ხელსაყრელია დასაქმებული ან რეგიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის. აკადემია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და დამატებით კონსულტაციებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასინქრონული სწავლებისა და მხარდაჭერის კომპონენტს: MS Teams-ის პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ჩაწერილი ლექციები და სასწავლო მასალები, ხოლო ელექტრონული ჩატის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ ოპერატიული კონსულტაციების მიღება. სტუდენტებთან პერიოდული გამოკითხვებისა და პირდაპირი კომუნიკაციის საფუძველზე აკადემია ახდენს სასწავლო პროცესისა და ციფრული რესურსების ადაპტირებას. სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რეალური შემთხვევების — ქეისების — განხილვა, სიტუაციური ამოცანები, როლური თამაშები, პრაქტიკული სავარჯიშოები და ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მეთოდები სტუდენტებს ეხმარება სიტუაციების ანალიზსა და დამოუკიდებელი პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებაში. დისტანციურად განსახორციელებელი მოდულების შემთხვევაში მეთოდოლოგია ადაპტირებულია ელექტრონულ გარემოზე და გამოიყენება როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული სწავლების ფორმატები. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ განსაზღვრავს სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, სტუდენტთა მობილობასა და განათლების აღიარებას. საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობები. პროგრამა ხორციელდება იმიტირებული მიდგომით, შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტის გარე პარტნიორთან განხორციელების საჭიროება არ დგას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში და დაცულია შრომის, სახანძრო და უსაფრთხოების სხვა შესაბამისი ნორმები. შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება კონკრეტული მოდულისა და სწავლის შედეგების შესაბამისად და გამოიყენებამდე გადის სავალდებულო შინაარსობრივ და ტექნიკურ ვალიდაციას. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და სტუდენტებისთვის ცნობილია, ხოლო შედეგების დროული გაცნობა და მოქმედი აპელაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. დისტანციური შეფასებისას სტუდენტს,

მოთხოვნის შემთხვევაში, აქვს შეფასების პირისპირ ფორმატში ჩატარების უფლება; ონლაინ შეფასებისას კი სტუდენტის იდენტიფიკაცია ხორციელდება ვიდეოკამერის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან სხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენებით. შეფასების შედეგები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია MS Teams-ის პლატფორმაზე. აკადემიაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტრუმენტი. ვერიფიკაციის მიზანია შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. პროცესს წარმართავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე დამოუკიდებელი ვერიფიკატორი ან ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც არ მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვალიდაციაში ჩართული პირი. ვერიფიკაციისას მოწმდება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა, მტკიცებულებების სანდოობა, პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა, ასევე შეფასების შედეგების ობიექტურობა. შერჩევა ეფუძნება რისკების ანალიზს; მოწმდება დასრულებული მოდულების არანაკლებ 50% და თითოეული ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების არანაკლებ 50%, ხოლო 10-მდე მოდულის ან მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში — ყველა მათგანი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად. შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები — უვადოდ. შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით. სტუდენტებს შედეგები ინდივიდუალურად ეცნობებათ, მათ მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ციფრული და შეფასების რესურსები შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე, პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო ქიტიაშვილს, მიმართა კითხვით, თუ როგორ გადაამოწმა ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე MS Teams-ის პლატფორმის გამართულობა და დისტანციური სწავლებისა და შეფასების განხორციელების მზადყოფნა — პრაქტიკული ტესტირების გზით თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ქიტიაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება MS Teams-ის პლატფორმის საშუალებით ჩატარდა და დაწესებულებამ პლატფორმის ფუნქციონირება პრაქტიკულად აჩვენა. დარგის ექსპერტმა, დემეტრე დემეტრაშვილმა, დაამატა, რომ ექსპერტებმა პლატფორმის სრული ფუნქციონირება ადგილზე ნახეს. შექმნილია პროგრამებისა და წლების მიხედვით ორგანიზებული ჯგუფები, აქტიურულია შესაბამისი სასწავლო მასალები და რესურსები, რომლებზეც სტუდენტებს სრული წვდომა აქვთ. მისი შეფასებით, პლატფორმა პროფესიული განათლებისთვის პრაქტიკული და ეფექტიანია.

მოთხოვნებს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა და პროფესიული სტუდენტების მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ფოთის ლოკაციაზე პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ერთობლივ პასუხისმგებლობას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფაზე. კოოპერაციული სწავლების ფორმატი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები რეალურ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებულ პირობებში განვიტარონ. ფოთის ლოკაციაზე პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები და შესაბამისი სამუშაო გარემო. ბათუმის ლოკაციაზე არსებული სიმულატორის გამოყენება ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებისთვის; სიმულატორში ჩატვირთულია სხვადასხვა სახის ამწის ოპერირების პროგრამა, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა გადაადგილებას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულება. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიმართულებით დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების შესაბამისი მექანიზმები. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უკუკავშირი და პროგრამის განხორციელების შედეგები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამის შემდგომი განვითარება და საჭირო ცვლილებების განხორციელება. სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა შეფასების მიმართულებით პროგრამა ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად და 10 პროფესიულ მოდულს. სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო განრიგის შედგენას, პროფესიული სტუდენტებისთვის მის ხელმისაწვდომობასა და სასწავლო პროცესის მონიტორინგს. შეფასების სისტემა ეფუძნება სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარების შეფასების თანმიმდევრულ, სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე პროცესს. შეფასების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით. შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, ხოლო შეფასების პროცესი ითვალისწინებს დადგენილ წესებსა და პროცედურებს. შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმი ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების განხორციელების ერთიან ჩარჩოს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულ, სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე წარმართვას. შეფასების სისტემა ეფუძნება სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას. პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სასწავლო და პრაქტიკული გარემო. პრაქტიკული სწავლებისას გათვალისწინებულია ამწის ოპერირებასთან დაკავშირებული სამუშაოს სპეციფიკა და შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნები. სიმულაციური გარემოს გამოყენება სტუდენტებს საშუალებას აძლევს, პროფესიული უნარები რეალურ სამუშაო პროცესთან მიახლოებულ პირობებში განვიტარონ, ხოლო კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ერთობლივი პასუხისმგებლობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა (ბათუმის და ფოთის ლოკაციები)

პროგრამის სახელწოდებაა „ელექტრობა“, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს

საბაზოპროფესიულკვალიფიკაციასელექტრობაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0713). პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული. პროგრამა ხორციელდება ორ ლოკაციაზე: ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. №53-ში, და ქალაქ ფოთში, წმინდა გიორგის ქ. №24-ში. ბათუმისა და ფოთის ლოკაციებზე პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ორივე ლოკაციაზე პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 66 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 81 კრედიტს. ორივე ლოკაციაზე ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. ბათუმის ლოკაციაზე პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2026 წლის 29 მაისის №05-66 ბრძანებით, ხოლო ფოთის ლოკაციაზე — 2026 წლის 29 მაისის №07-50 ბრძანებით. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ სრულ შესაბამისობაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებსა და პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტებთან. აკადემიის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმის მიხედვით, ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადება და პროფესიული განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარება. პროგრამის განხორციელების აუცილებლობა ეფუძნება როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ შრომის ბაზარზე ელექტრობის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე არსებულ მზარდ მოთხოვნას. გამოყენებულია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და 2024 წლის შრომის ბაზრის კვლევების შედეგები, რომლებიც ადასტურებს კვალიფიციური ელექტრიკოსების დეფიციტს სამშენებლო, სამრეწველო, ენერგეტიკის, სამოქალაქო და სპეციალური დანიშნულების ინფრასტრუქტურის მიმართულებებით. პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია დამსაქმებელთა საჭიროებები, დარგის განვითარების ტენდენციები, ტექნოლოგიური განვითარების ტემპი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და დასაქმების შესაძლებლობები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება. აღნიშნული წინაპირობები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს იმ პირობა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის ND 2-O19-01“ საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 28 მაისის №01-109 ბრძანებით. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა, ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობა და პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ობიექტების ხელმისაწვდომობა. ელექტრობის პროგრამისთვის განსაზღვრული 40 პროფესიული სტუდენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულია დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობად. პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებას პროფესიული პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების შინაარსი შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამა არჩევით მოდულს არ მოიცავს. პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზი მოწმობს, რომ დაწესებულებას ორივე ლოკაციაზე გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, ტექნიკური და სასწავლო რესურსები. სასწავლო გარემოები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, ხოლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები და ბიბლიოთეკის მომსახურება. ასევე უზრუნველყოფილია სსსმ პირებისთვის საჭირო ადაპტირებული სასწავლო რესურსებისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აკადემიაში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების შესაბამისი მექანიზმები. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი მოქმედებს დაწესებულებაში და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით, პროგრამა ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უზრუნველყოფილია მოდულების თანამიმდევრული განხორციელება, სასწავლო რესურსების ეფექტიანი დაგეგმვა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეტაპობრივი მიღწევა. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა და პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესი ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში და მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა ეფუძნება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარების ობიექტურ შეფასებას. შეფასების პროცესში გამოყენებულია შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები და ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად და უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შედულება (ბათუმის და ფოთის ლოკაციები)

პროგრამის სახელწოდებაა „შედულება“, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას შედულებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0715). პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული. პროგრამა ხორციელდება ორ ლოკაციაზე: ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. №53-ში, და ქალაქ ფოთში, წმ. გიორგის ქ. №24-ში. ბათუმის ლოკაციაზე პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით, ხოლო ფოთის ლოკაციაზე — იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ორივე ლოკაციაზე პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 50 სტუდენტს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 87 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 117 კრედიტს. ბათუმისა და ფოთის ლოკაციებზე ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ

მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამა ბათუმის ლოკაციაზე დამტკიცებულია რექტორის 2026 წლის 29 მაისის №05-63 ბრძანებით, 2026 წლის 15 ივლისის №05-81 ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით, ხოლო ფოთის ლოკაციაზე — 2026 წლის 29 მაისის №07-53 ბრძანებით. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედულება“ სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისთვის კვალიფიციური შემდუღებლების საჭიროებას. აღნიშნულია, რომ საქართველოში მიმდინარე მშენებლობები, მათ შორის საზღვაო ინდუსტრია, წარმოუდგენელია შედუღების პროცესების გარეშე. დაწესებულებამ შეისწავლა რეგიონში პროგრამის განხორციელების საჭიროება და გაითვალისწინა საწარმოო ბაზარი, ტექნოლოგიური განვითარება, დასაქმების სტაბილურობა და კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. ასევე შესწავლილია დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს კვლევები და 2024 წლის შრომის ბაზრის კვლევა, რომლებმაც დაადასტურა შედუღების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა. აკადემიის მიერ პროგრამის წლების განმავლობაში განხორციელების გამოცდილებამ, არსებულმა ინფრასტრუქტურამ, საწარმოებთან დამყარებულმა პარტნიორობამ და ბაზრის მოთხოვნამ განაპირობა პროგრამის განხორციელება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული წინაპირობა გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის ND 2-019-01“ საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2026 წლის 28 მაისის №01-109 ბრძანებით. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობა და მათი მომსახურების შესაძლებლობები. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა და პრაქტიკის ობიექტებთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა. პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, ხოლო მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების შინაარსი შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს — „ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა“, 4 კრედიტის მოცულობით, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზი მოწმობს, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური და სასწავლო რესურსები. სასწავლო გარემოები აღჭურვილია პროგრამის მოდულებით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და ინვენტარით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები. სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები და ბიბლიოთეკის მომსახურება. ფოთის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისას ასევე გამოიყენება დაწესებულების შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურა და რესურსები. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აკადემიაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შიდა მექანიზმი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ND 2-F03-01 დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის №01-256 ბრძანებით. პროგრამის შეფასებისას გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც ხდება პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი შემდგომი განვითარება. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით, პროგრამა ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ბათუმის ლოკაციაზე წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 29 მაისის №05-64 ბრძანებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში სწავლების განხორციელებას. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. შეფასების პროცესში გამოიყენება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები და ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და თანმიმდევრულობას. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი შემოუერთდა სხდომას.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა მეგრელიძეს, მიმართა კითხვით, რამდენად უზრუნველყოფდა დაწესებულება მოთხოვნილი 150-სტუდენტის კვოტის პირობებში სტუდენტებისთვის სრულფასოვანი სწავლებისა და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას და რამდენად უწყობდა ხელს მათ დასაქმებას. ასევე, „შედულების“ პროგრამასთან დაკავშირებით, რას გულისხმობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული რესურსის „ზედმეტობა“ და შეფასებული იყო თუ არა მოთხოვნილი კვოტა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ განმარტა, რომ საკითხი დეტალურად შეისწავლეს და დამატებითი მტკიცებულებებიც გამოითხოვეს. სასწავლო გეგმისა და გრაფიკების ანალიზის საფუძველზე ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას შეუძლია 150 სტუდენტის მიღება — ერთ მიღებაზე 75 სტუდენტის. პრაქტიკული კომპონენტი 28-კვირიანია და თეორიული სწავლებისგან განცალკევებით ხორციელდება. პროგრამები მოთხოვნადია, კურსდამთავრებულთა დასაქმებას კვლევებიც ადასტურებს, ხოლო ექსპერტებმა გემიც დაათვალიერეს და სტუდენტთა დატვირთვა გრაფიკების მიხედვით შეაფასეს. „შედულების“ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას სტანდარტით მოთხოვნილზე მეტი აღჭურვილობა ჰქონდა, თუმცა პროგრამის დონის ცვლილების გამო ახალი მოდულისთვის საჭირო დამატებითი აღჭურვილობის შეძენა იყო დაგეგმილი. კვოტა 50 სტუდენტზეა გათვლილი და შეფასებული იყო A, B და C გარემოების გამტარუნარიანობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად რეალისტური იყო სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის 24 საათიანი სწავლებისა და მუშაობის გრაფიკი და როგორ ნაწილდებოდა დღის და ღამის ცვლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გემი მოქმედი საწარმოა და 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. სტუდენტის საზღვაო პრაქტიკა დღეში 8 საათს მოიცავს, საიდანაც 4 საათი უშუალოდ პრაქტიკულ საქმიანობას ეთმობა, ხოლო 4 საათი — დოკუმენტაციაზე მუშაობას, რომლის შესრულებაც გემის ფარგლებს გარეთაც არის შესაძლებელი. მისივე თქმით, ღამის ცვლა გათვალისწინებულია იმისთვის, რომ სტუდენტებმა რეალურ სამუშაო პირობებში შეისწავლონ როგორც დღის, ისე ღამის ვახტის შესრულება. დაწესებულების სხვა წარმომადგენელმა დაამატა, რომ გემის 24-საათიანი მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის ღამის ვახტის გამოცდილების მიღება აუცილებელია, ცვლები კი მოძრავი გრაფიკით ნაწილდება, რის მიხედვითაც დღის ცვლაში მყოფ სტუდენტს შემდგომ დღეებში ღამის ცვლაც უწევს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შესაბამისი მოძრავი გრაფიკი. მან ასევე განმარტა, რომ პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პროგრამის ბოლოს, მას შემდეგ, რაც სტუდენტი სრულად გაივლის თეორიულ და სიმულაციურ სწავლებას.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს რეგულირებადი პროფესიის მომზადებას და საზღვაო კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის რეალურ გემზე საზღვაო პრაქტიკის გავლა სავალდებულოა. მისი განმარტებით, 75 სტუდენტი დაყოფილია ექვს ჯგუფად (დაახლოებით 12–13 სტუდენტი თითოეულში). პროგრამის ბოლოს გათვალისწინებული 20-კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკა გემზე ხორციელდება და სტუდენტს შემდგომში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კვალიფიკაციის სერტიფიკატის მიღების შესაძლებლობას აძლევს, რაც შრომის ბაზარზე დაშვებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად უზრუნველყოფდა 75 სტუდენტისთვის ხანძართან ბრძოლისა და წყალში გადარჩენის ტრენაჟორები ინდივიდუალური პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და როგორ ხდებოდა ქ.ფოთიდან ქ.ბათუმის სიმულატორზე სტუდენტების ტრანსპორტირება.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული აუზისა და შესაბამისი აღჭურვილობის რესურსი სრულიად საკმარისი იყო. მისი თქმით, სტუდენტები პრაქტიკას ჯგუფებად გადიოდნენ — თითო ჯგუფში დაახლოებით 15 სტუდენტის შემადგენლობით — ხოლო ტრენინგის ხანგრძლივობა დაახლოებით 4 საათს შეადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აუზი და აღჭურვილობა 15–20 სტუდენტზეა გათვლილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ფუნქციონირებს ორი სახანძრო სიმულატორი და წინასწარ გაწერილი გრაფიკის შესაბამისად შესაძლებელია ყველა სტუდენტის ეტაპობრივად მომზადება. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ფოთიდან ბათუმში სტუდენტების ტრანსპორტირებას თავად დაწესებულება უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიმართა კითხვით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა მეგრელიძეს, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის, მოწვეული პერსონალის შესაძლო გადატვირთვისა და სხვა პროგრამებში მათი ჩართულობის შედეგად სასწავლო პროცესის შეფერხების რისკის შესახებ.

ექსპერტმა, ირმა მეგრელიძემ განმარტა, რომ მასწავლებელთა რაოდენობა პროგრამების სპეციფიკისა და გრაფიკის გათვალისწინებით საკმარისი იყო. „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამაში ფოთის ლოკაციაზე სამი პროფესიული მასწავლებელი ორი ჯგუფისთვის საკმარისია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ პროფესიული მასწავლებლები ცალკე არიან განსაზღვრული და უმაღლესი განათლების პროგრამებში არ არიან ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, მოწმდებოდა თუ არა პროფესიული მასწავლებლების შესაბამისი საზღვაო სერტიფიკატები.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი ყველა მასწავლებელი საზღვაო სფეროს მოქმედი ან ყოფილი სპეციალისტია და შესაბამისი საზღვაო გამოცდილება ჰქონდა. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული კომპეტენციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სერტიფიკატები, რაც ექსპერტებმა ვიზიტისას დაადასტურეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო დაწესებულებას ყოველწლიურად ამოწმებს და აღნიშნული მიმართულებით დამატებით აუდიტსაც ახორციელებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა მეგრელიძეს და დაინტერესდა, თუ რა სტრატეგია ჰქონდა დაწესებულებას არაქართულენოვანი სტუდენტების პროფესიულ მოდულებში ინტეგრირებისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის ენობრივი ბარიერის დასაძლევად, ასევე როგორ იყო გათვალისწინებული სამედიცინო მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ, განმარტა, რომ გემის მიმართულების პროგრამები მოიცავს უცხო ენის მოდულს, ამასთანავე დაწესებულებას სტუდენტებისთვის დამატებითი უცხო ენის კურსებიც აქვს ორგანიზებული და გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას არაქართულენოვანი სტუდენტი არ ჰყოლია, თუმცა შესაბამისი მიდგომა წინასწარ არის განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ყველა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აკრედიტებული სამედიცინო ცნობა, რომლითაც მოწმდება მხედველობა, ფერების გარჩევის უნარი და ვესტიბულური აპარატის მდგომარეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა მეგრელიძეს, რამდენად იყო C გარემო ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე სტუდენტებისთვის (მათ შორის „ელექტროობის“ პროგრამის ფარგლებში). ირმა მეგრელიძემ განმარტა, რომ ქ. ფოთისა და ქ. ბათუმის ლოკაციებზე გარემო ადაპტირებულია და შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ საჭიროებისას სტუდენტებს სპეციალური პერსონალი ეხმარება.

ამწის სიმულატორებზე ინდივიდუალურ პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დავალებები მოკლეა, ინდივიდუალურად სრულდება და სტუდენტებს დამატებითი დროც ეთმობათ.

„ელექტროობის“ პროგრამის ბიუჯეტისა და სახარჯი მასალების შესახებ ირმა მეგრელიძემ და დარგის ექსპერტმა განმარტეს, რომ არსებული ბიუჯეტი და რესურსები სრულიად საკმარისია: ინვენტარი მრავალჯერადია, ხოლო აღჭურვილობა (მაგალითად, მულტიმეტრები) სტანდარტით გათვალისწინებულზე მეტია.

შეკითხვაზე, თუ რატომ არ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია 10 პროგრამის არსებობის ფონზე, ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებს შრომის ბაზარზე მაღალმოთხოვნად პროფესიებს, ინფრასტრუქტურა სათანადოდ არის აღჭურვილი და განმავითარებელი რეკომენდაციის საჭიროება არ გამოკვეთილა.

„შედულების“ პროგრამაზე ულტრაბერითი შედულების აპარატის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აპარატი უკვე შეძენილია, ფოთის ლოკაციისთვის — შეკვეთილი, ხოლო პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკება „ფოთის წყალთან“ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: "საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია", "გემის საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია", "სამანქანე განყოფილების

ექსპლუატაცია", "გემის სამანქანო განყოფილების ექსპლუატაცია", "ამწის ოპერირება (ბათუმისა და ფოთის ლოკაციაზე)", "ელექტროობა (ბათუმისა და ფოთის ლოკაციაზე)", "შედულება (ბათუმისა და ფოთის ლოკაციაზე)" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "საგემბანო განყოფილების ექსპლუატაცია", "გემის საგემბანო განყოფილების ექსპლუატაცია", "სამანქანო განყოფილების ექსპლუატაცია", "გემის სამანქანო განყოფილების ექსპლუატაცია", "ამწის ოპერირება (ბათუმისა და ფოთის ლოკაციაზე)", "ელექტროობა (ბათუმისა და ფოთის ლოკაციაზე)", "შედულება (ბათუმისა და ფოთის ლოკაციაზე)" (დანართი 4).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედულება“ ფოთის ლოკაციაზე, 2.2.კომპონენტში. მონიტორინგის ფორმა დ განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 1 ოქტომბერი.

მეხუთე საკითხი: შპს მედსქილ ედუს ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 4 ივნისის №672868 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალი ვიზიტის განხორციელება შპს მედსკილ ედუში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 24, 25 და 26 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს მედსკილ ედუში (მის: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქუჩა N16, ც. დადიანის ქუჩა N30.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტზე. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია:

5.1.1.1 კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „მედსკილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 04 მაისის N 30 ბრძანებით (ცვლილება 24.06.2026 N44). შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, კოლეჯი არაუგვიანეს 2026 წლის 01 (პირველი) ოქტომბრისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებასა და მატერიალური რესურსით აღჭურვას და შეძენილი მატერიალური რესურსის განთავსებას აუდიტორიებში. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ინდიკატორებსა და ვადებს და რეალისტურად მიიჩნევს აღნიშნულ ვადებში სამუშაოების დასრულებას და სივრცეების სრულყოფილად აღჭურვას.

5.1.1.3 დაწესებულების ბოჭორმას ქუჩა N16 -ის მისამართზე სრულად მოწყობილია სანიტარული კვანძები, მათ შორის შშპ პირისათვის. გამიჯნულია ქალისა და მამაკაცის კაბინები. რაც შეეხება დადიანის მისამართზე არსებულ ფართს, აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კვანძები გამიჯნული იყო, თუმცა სარემონტო სამუშაოები არ იყო დასრულებული. შპს „მედსკილ ედუ“-ს სარგებლობაში არსებულ შენობაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ედუ მენეჯმენტ“-თან (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია საიდენტიფიკაციო ნომრით: 405644557). აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ედუ მენეჯმენტი“ უზრუნველყოფს ფართის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებით უზრუნველყოფას, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განხორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და

სრულად აღჭურვავენ ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი. გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს. კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.1.4. დაწესებულების ბოჭორმას ქუჩა N16 -ის მისამართზე სრულად მოწყობილია გათბობისა და გაგრილების სისტემა, ადგილზე ვიზიტის დროს, წარმოდგენილ იქნება კომუნალური ხარჯების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და გათბობის სისტემის მონტაჟი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულებამ უნდა განახორციელოს სარემონტო სამუშაოები და სრულად აღჭურვოს ორივე მისამართზე არსებული ფართი.

დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავენ ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი. გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს. კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების

ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.1.5 კოლეჯს აღნიშნული ინდიკატორთან მიმართებით წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესაბამისადაც კოლეჯში არაუგვიანეს 2026 წლის 01 ოქტომბრისა გეგმავდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვას. ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება შპს „ეიჩეს კონსალტინგთან“ , სადაც კომპანია კისრულობს ვალდებულებას კოლეჯის ორივე მისამართზე უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების შემდეგი მექანიზმების აღსრულებას : ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების აუდიტი; რისკების შეფასება და მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრა ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება (პოლიტიკა, პროცედურები / ინსტრუქტაჟები, სამუშაო ჟურნალები და ა.შ) შიდა ტრენინგის ჩატარება პერიოდული ინსპექტირება და რისკების შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და გეგმა, ასევე ჩასატარებელი ინსტრუქტაჟებისა და სწავლებების ჟურნალები და წესები. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა, გაფორმებულია ხელშეკრულება და მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტაცია. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო ჩატარებული პერსონალის სწავლება, არ იყო შეფასებული რისკები და საფრთხეები. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ არ იყო დასრულებული შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის პროცესი და შეაფასა როგორც ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.1.8 კოლეჯის ბოჭორმას მისამართზე შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კვანძები გამიჯნულია თუმცა, არ იყოს მოწყობილი შესაბამისად. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვადა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი. გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს. კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა

გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.1.9 კოლეჯის ბოჭორმას მისამართზე ყველა სასწავლო ფართს და რესურს ცენტრ (ბიბლიოთეკას) აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, თუმცა რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ბიბლიოთეკა არ იყოს მოწყობილი შესაბამისად. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვადა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი. გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს. კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.1.10 კოლეჯის ბოჭორმას მისამართზე სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, თუმცა რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კვანძები გამიჯნულია თუმცა, არ იყოს მოწყობილი შესაბამისად. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვადა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი. გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია

ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს. კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.2.1 დაწესებულება უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს, რომელიც დაცულია, როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ქ.თბილისში, ბოჭორმის N16-ში წარმოდგენილია შპს „ოპტიმუსი“-ის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დაკმაყოფილებულია. კონსტრუქციული ნაწილი შესაბამისობაშია არსებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან და ქვეყანაში არსებულ ნორმატიული აქტებით, მათ შორის სეისმური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რაც განაპირობებს შენობის შედგომ მდგრადობას და საიმედოობას; ც. დადიანის N 30-ში არსებულ მისამართზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს: შენობის უსაფრთხოების შესახებ – შპს „ექსპერტიზას“ მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნა, რომლის თანახმადაც, დაწესებულების მიერ დაკავებული ფართები (ქ. თბილისი; ცოტნე დადიანის N30; ს/კ 01.12.12.033.044)დღეის მდგომარეობით, ტექნიკურად მდგრადია, ხოლო სესმომედეგობა შეესაბამება საქართველოში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ სამშენებლო წესებსა და მოთხოვნებს. რაც შეეხება, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნას, კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 04 მაისის N30 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ცვლილება - N44. 24/06/2026), რომლის თანახმადაც, დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 01 ოქტომბრისა უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენას, როგორც ბოჭორმას N16-ში მდებარე სასწავლო მისამართისთვის, ასევე, ც.დადიანის N30-ში მდებარე მისამართისთვის. შესაბამისობის გეგმა გაწესილია 5 თვის ვადაზე, მოცემულია აქტივობები, ჩართული და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ გეგმას და რეალისტურად მიიჩნევს დარვეზის აღმოფხვრას.ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.2.2 2.შპს “მედსქილ ედუს” დირექტორის ბრძანება N19. 24/04/2026 დამტკიცებულია “პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი”, რომელიც არეგულირებს, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. კოლეჯში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების აღსრულებისათვის დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ორი პირი. ხელშეკვრულებაში დაზუსტებულია სამუშაო ადგილი. ბოჭორმას და დადიანის მისამართებზე. ასევე, დამტკიცებულია, სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც ივსება საჭიროების შემთხვევაში.

5.1.2.3 აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 04 მაისის N 30 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, კოლეჯი უზრუნველყოფს

არაუგვიანეს 2026 წლის 01 ოქტომბრისა, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კომპეტენტურ ორგანოსთან. შესაბამისობის გეგმა გაწესილია 5 თვის ვადაზე, მოცემულია აქტივობები, ჩართული და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ გეგმას და რეალისტურად მიიჩნევს დარვეზის აღმოფხვრას. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.2.2.2 კოლეჯის „საქმისწარმოების წესი“ ითვალისწინებს როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში დოკუმენტბრუნვის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება საქმისწარმოებას ძირითადად მატერიალური ფორმით ახორციელებს, თუმცა წარმოდგენილია დირექტორის 2026 წლის 4 მაისის №30 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმადაც დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა დაანერგავს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას (E-flow). ამასთან, დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ელექტრონული სისტემის ამოქმედების შემდეგ შემოსული კორესპონდენცია რეგისტრირდება E flow სისტემაში, ხოლო მატერიალური ფორმით მიღებული დოკუმენტები სისტემაში აიტვირთება შესაბამისი პროცედურის დაცვით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დოკუმენტების ერთიან აღრიცხვას, კვალვადობასა და ეფექტიან მართვას. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა არა E-flow სისტემის პრაქტიკული გამოყენება, არამედ მისი დაანერგვისთვის არსებული სამართლებრივი, ორგანიზაციული და დროითი წინაპირობები. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული ვადები და ღონისძიებები ელექტრონული საქმისწარმოების სრულფასოვნადანერგვისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს აღნიშნულ ვადაში არსებული შესაბამისობის აღმოფხვრას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

შპს „მედსქილ ედუ“ წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისია, ხედვა და ღირებულებები მიმართულია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამედიცინო პერსონალის მომზადებაზე, პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობაზე. დაწესებულების ძირითადი ღირებულებებია ხარისხი, პროფესიონალიზმი, ეთიკური პასუხისმგებლობა, უწყვეტი განვითარება, ინოვაციურობა, სტუდენტზე ორიენტირებულობა და გუნდურობა. მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებულია შესაბამისი პროცედურით და ხელმისაწვდომია სხვადასხვა საინფორმაციო არხით. კოლეჯში შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები, ჯანდაცვის სფეროს თავისებურებები, პროფესიული განათლების პრიორიტეტები და შრომის ბაზრის მოთხოვნები. სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარების დაგეგმვისთვის. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები. განსაზღვრულია სტუდენტის ჩარიცხვის, სტატუსის, მობილობის, შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სსსმ/შშმ სტუდენტთა მხარდაჭერის პროცედურები. სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს და ითვალისწინებს არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურებები, მათ შორის აკადემიური კონსულტირება, სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, დამატებითი და არაფორმალური აქტივობების ხელშეწყობა და სტუდენტთა უკუკავშირის გამოყენება

მომსახურების გასაუმჯობესებლად. ასევე განსაზღვრულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის განხორციელება. ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით კოლეჯში განსაზღვრულია ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კოლეჯში წარმოდგენილია აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებები, მათ შორის სასწავლო პროცესის, ხარისხის მართვის, კარიერული და ადამიანური რესურსების მართვის, საქმისწარმოების, საბიბლიოთეკო და IT მიმართულებები. ხარისხის მართვის მენეჯერი დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, დებულების, შინაგანაწესისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებულია შესაბამისი პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო კადრების მოზიდვა შესაძლებელია როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან და რეკომენდაციების საფუძველზე. მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას გეგმავს ორ მისამართზე — ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №16-სა და ც. დადიანის ქუჩა №30-ში. დაწესებულებაში გათვალისწინებულია სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას. კოლეჯში დაცულია უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური და წესრიგის დაცვის მოთხოვნები, განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, დაგეგმილია მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულება, საჭირო მატერიალური რესურსების შეძენა და შესაბამისი სივრცეების სრულად აღჭურვა. ფინანსური რესურსების მიმართულებით კოლეჯს გააჩნია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებისთვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსები, რაც ასახულია პროფესიული პროგრამის საპროგნოზო და ძირითად ბიუჯეტებში. დაწესებულებაში განსაზღვრულია ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმები. „ფინანსურ შედეგებზე რეაგირების“ წესის შესაბამისად, საოპერაციო ხარჯების დაფარვა უზრუნველყოფილია წინასწარ დაგეგმილი ფინანსური რესურსებით. ასევე გათვალისწინებულია ეკონომიკური რესურსების რაციონალური და მიზნობრივი გამოყენება, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე, ვინაიდან კოლეჯს ჯერ არ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები, სტუდენტებთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცესის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება ვერ განხორციელდა; შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებები შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, არსებული რესურსებისა და დაგეგმილი მექანიზმების საფუძველზე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

პროგრამის სახელწოდებაა „**საექთნო განათლება**“, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „საექთნო განათლება“ (სარეგისტრაციო ნომერი: 09109-კ). პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ორ მისამართზე: **დადიანის ქ. N30-ში**, სადაც მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 240 პროფესიულ სტუდენტს, და **ბოჭორმის ქ. N16-ში**, სადაც მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 260 პროფესიულ სტუდენტს. საერთო მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს **500 პროფესიულ სტუდენტს**. პროგრამა ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (2.1) შეფასებისას აღინიშნა, რომ „საექთნო განათლების“ პროგრამა სრულ თანხვედრაშია შპს

„მედსქილ ედუს“ მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელიც ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამედიცინო პერსონალის მომზადებაზე ინოვაციური და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება ასევე უკავშირდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესებას, სტუდენტთა კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობას. დაწესებულების მიერ ჩატარებულმა შრომის ბაზრის კვლევამ გამოავლინა საქართველოში კვალიფიციური საექთნო პერსონალის დეფიციტი და აღნიშნულ სფეროში კადრებზე მზარდი მოთხოვნა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ეროვნული სტატისტიკური მონაცემები, სექტორული კვლევები, სტრატეგიული დოკუმენტები და დასაქმების პლატფორმებზე არსებული ვაკანსიები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსები, სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობა, დისტანციური სწავლების შესაძლებლობა და პროგრამის მოთხოვნადობა. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის N29 ბრძანებით, ხოლო მისი სახელწოდება სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „საექთნო განათლება“. პროგრამის განხორციელების რესურსების (2.2) ანალიზმა აჩვენა, რომ დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები. **დადიანი ს.ქ. N30-ში** პროგრამისთვის განსაზღვრულია 5 A სასწავლო გარემო, 1 AB გარემო და 2 A სასწავლო გარემო, ხოლო **ბოჭორმის ქ. N16-ში** გამოყოფილია ორი A სასწავლო გარემო და ერთი AB გარემო. პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია როგორც საკონტაქტო, ისე დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პრაქტიკული სწავლება ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების განხორციელების მიზნით შპს „მედსქილ ედუს“ გაფორმებული აქვს ექსკლუზიური თანამშრომლობის ხელშეკრულება სს „ვიანთან“, რომლის კლინიკურ ბაზებზე უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლება. პრაქტიკის ობიექტებზე მოწყობილია შესაბამისი C და A სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო სიმულატორებითა და მატერიალური რესურსებით. პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია **61 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, მათ შორის 24 ზოგადი მოდულებისთვის და 37 პროფესიული მოდულებისთვის. პროფესიული მასწავლებლები აკმაყოფილებენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ფლობენ პროგრამის სპეციფიკისთვის აუცილებელ პროფესიულ, დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციებს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო გარემო და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენების შესაძლებლობა. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებითა და შესაბამისი ბიუჯეტით. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მხრივ (2.3) აღინიშნა, რომ შპს „მედსქილ ედუსში“ მოქმედებს ხარისხის მართვის პოლიტიკა და პროგრამების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობისა და პროცესის ეფექტიანობის შეფასებას. პროგრამების შეფასებისას გამოიყენება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, მათ შორის პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შედეგების, მასწავლებელთა, პრაქტიკის ობიექტების, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვის საფუძველზე. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის პერიოდულ განვითარებასა და

გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კუთხით, პროცესი ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად, როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სწავლებისთვის. დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე და ინოვაციური მეთოდები, მათ შორის დისტანციური სწავლების სხვადასხვა მოდელი — სრულად ელექტრონული, სინქრონული და აсинქრონული. დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება ელექტრონული პლატფორმები, მათ შორის **Zoom, Google Meet, Slack** და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები. პროგრამის პრაქტიკული სწავლება ხორციელდება პარტნიორ კლინიკებში, შესაბამისი თანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე. პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტების შეფასება ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, პრაქტიკის პროტოკოლებისა და შესრულების ჩეკ-ლისტების გამოყენებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში. შეფასების სისტემა არის **ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური** და ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციას ახორციელებს შესაბამისი ჯგუფი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპით, ხოლო პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები სათანადოდ აღირიცხება და ინახება **3 წლის ვადით**. შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით.

2.2.1.1. შპს “მედსიქილ ედუს” დირექტორის ბრძანებით N 30 04/05/2026 დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 01(პირველი) ოქტომბრისა, უზრუნველყოფს პროგრამისათვის განსაზღვრული აუდიტორიების აღჭურვას შესაბამისი რესურსით ორივე მისამართზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა განახლებული ინფორმაცია მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებული შესაბამისობის საკითხების შესახებ, რომლებიც დადიანის ლოკაციას ეხება. მისი განმარტებით, მიმდინარე კვირაში სარემონტო სამუშაოები სრულდება და სექტემბრიდან დაწესებულება ტექნიკურ აღჭურვაზე გადავა. დასრულებულია ლიფტების დამონტაჟება და კიბის უჯრედის მოწესრიგება. უკვე დამონტაჟებულია ორი ლიფტი, რომლებიც განკუთვნილია როგორც შშმ პირებისთვის, ისე სხვა პირების გადაადგილებისთვის. სარემონტო სამუშაოებთან ერთად დასრულებულია გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების მოწყობაც. რაც შეეხება ელექტრონული საქმის წარმოების სისტემას Eflow-ს, წინა კვირას გაფორმდა ხელშეკრულება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და დაწესებულება უკვე იღებს შესაბამის მომსახურებას, რითაც აღნიშნული ვალდებულებაც განსაზღვრულ ვადაში შეასრულა.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები დადიანისა და ბოჭორმის ლოკაციებისთვის შეთანხმებულია. შესაბამისი უწყებიდან არსებობს დამადასტურებელი წერილიც და აღნიშნული საკითხიც გამოსწორებულია. შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 10 ივლისს ჩატარდა ტრენინგი. დაწესებულებამ დაიწყო აქტიური თანამშრომლობა შესაბამის კომპანიასთან და აღნიშნული მექანიზმების სრულად ამოქმედებასა და დანერგვას ახორციელებს. ბოჭორმის ლოკაციისთვის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა უკვე არსებობს. რაც შეეხება დადიანის ლოკაციას, სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე იგივე ორგანიზაცია მოამზადებს შესაბამის დასკვნას. დაწესებულება აღნიშნული პროცესის დასრულებას სექტემბრის დასაწყისში ელოდება. ძირითადად, დადიანის ლოკაციაზე დარჩენილია მატერიალური რესურსების საკითხი, ხოლო ბოჭორმის ლოკაციაზე — ერთი მოდულის ფარგლებში ლეპტოპების შესყიდვა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ჩხარტიშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად მოესწრებოდა ოქტომბრის დასაწყისამდე, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამედიცინო მიმართულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრულად აღჭურვა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკული კომპონენტის სრული ნაწილი გატანილია პარტნიორ ორგანიზაციებში. დაწესებულების პარტნიორია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (Georgia Healthcare Group — GHG), რომლის შემადგენლობაშიც შედის ევექსი და საქართველოს 54 სხვა სამედიცინო დაწესებულება. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი და ინვენტარი სრულად არის უზრუნველყოფილი პარტნიორ კლინიკებში, მათ შორის, ბოკერიას კლინიკაში, სადაც ექსპერტებმა ცალკე შენობაში სრულად აღჭურვილი სიმულაციური ცენტრები დაათვალიერეს. აღნიშნულ ნაწილზე დაწესებულებას შესაბამისობის გეგმა არ ჰქონია; ის მხოლოდ სარემონტო სამუშაოებში მყოფ შენობას ეხებოდა.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ პარტნიორი ორგანიზაცია სრულად უზრუნველყოფს სიმულაციური ცენტრების ფუნქციონირებას, განსაკუთრებით ბოკერიას კლინიკაში. რესურსები მოიცავს ყველა მოდულსა და კლინიკურ მიმართულებას, მათ შორის გადაუდებელ, პირველად და ზოგად დახმარებას, ასევე შინ მოვლას. შესაბამისად, დარგობრივ ნაწილში დაწესებულების მოთხოვნები სრულად არის უზრუნველყოფილი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ჩხარტიშვილმა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო თამაზაშვილს, ჰკითხა, ადასტურებდნენ თუ არა ექსპერტები, რომ პარტნიორი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მატერიალური და ადამიანური რესურსი პრაქტიკული კომპონენტის სრულად განხორციელებისთვის საკმარისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო თამაზაშვილმა, განმარტა, რომ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებთანაც აღნიშნული ორგანიზაცია პარტნიორობის ეტაპზე იმყოფება, შეთანხმების შესაბამისად, პარტნიორობა დასრულდება და ორგანიზაცია მხოლოდ „მედსქილის“ ექსკლუზიური პარტნიორი გახდება ზემოთ ჩამოთვლილ კლინიკებთან ერთად, გარდა იმ სამი კლინიკისა, რომლებთანაც ცალმხრივი ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ კლინიკები წარმოდგენილია სრული საწოლფონდით, რაც რესურსის შეფასების ერთ-ერთი მეთოდოლოგიური მაჩვენებელია. შესაბამისად, კლინიკურ, მათ შორის პრაქტიკულ კომპონენტებში, მოდულების განხორციელების შესაძლებლობა სრულად არის უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მედსქილ ედუს ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:


დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს მედსქილ ედუს (ს/კ: 406550370) 6

წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს მედსქილ ედუს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 5). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 24 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი 5.1. და 5.2. კომპონენტებში დადიანის ლოკაციაზე, ასევე, „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2.2. კომპონენტში ორივე ლოკაციაზე. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 5 ოქტომბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:36 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გიგაშვილი ეკატერინე



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გურჯაანის მუნიციპალიტეტი ,სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გურჯაანის მუნიციპალიტეტი ,სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ფინანსები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	119
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

პროგრამის სახელწოდება	გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი წმ. გიორგის N 24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი წმ. გიორგის N24 ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის №24 ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	შედულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	შედულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი; ცოტნე დადიანის ქუჩა N30; ბოჭორმას ქუჩა N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	500
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210